№ 478/თ

„14“ სექტემბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის თანამშრომლებზე საპროცესო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესახებ მოსამართლეთათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდების დავალების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის თანამშრომლებს დაევალოთ* ყოველდღიურად, სამუშაო საათების დაწყებისთანავე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდის www.matsne.gov.ge - ს მეშვეობით გადაამოწმონ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მდგომარეობა და შედეგი დაუყოვნებლივ აცნობონ რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ მოსამართლეს, კერძოდ:

1.1. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და საქართველოს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ,* რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებს - III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებს - *გიორგი ძინძიბაძეს და ეკატერინე ბერიძეს;*

1.2. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესახებ,* რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებს - III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებს - *ნინო ლომსიანიძეს, გუნა მოსიაშვილს და მარიამ ტაბატაძეს;*

1.3. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ,* რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებს

- III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებს - *თამარ ჩიქოვანს, ცოტნე მატუას და თეონა გუმბერიძეს;*

1.4. *საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში და საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ,* რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეს - III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - *ნათია კანთელაძეს;*

1.5. *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში და ბავშვის უფლებათა კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ,* რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეს - III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - *ნატო ძლიერიშვილი;*

1.6. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, საქართველოს პატიმრობის კოდექსში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში და ბავშვის უფლებათა კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ,* გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ მოსამართლეზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივანს - III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - *გიორგი გიგლემიანს;*

1.7. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ,* გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ მოსამართლეზე ინფორმაციის მიწოდება დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივანს - III რანგის - პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - *მარიამ სულავას;*

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 14 ივლისის №408/თ ბრძანება;

3. ბრძანების განუხრელად შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს გურამ კორკოტაშვილს;

4. ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 14 სექტემბრიდან;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ზოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე